



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო თვის მიმოხილვა

2024

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია

2024 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 0.5% შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასები 0.01%-ით გაიზარდა. დაბალ ინფლაციას, ერთი მხრივ, ადგილობრივი ინფლაციის მიზნობრივი 3 პროცენტიან მაჩვენებელთან ნორმალიზება განაპირობებს, რაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია. ამავდროულად, მსოფლიოში სურსათის ფასების კლების ტენდენცია მეტწილად გრძელდება. ეს კი საგარეო შოკების ეცაპობრივ მიღვევასთან ერთად, ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს.


2023 წლის ბოლოს ინფლაციის ერთერთ მთავარ რისკად წითელ ზღვაში არსებული დაძაბულობის გამო საერთაშორისო ტრანსპორტირების გაძვირება გამოიკვეთა. დაძაბულობა ამ რეგიონში კვლავ ნარჩუნდება, თუმცა ზამთრის საწყისი მკვეთრი ზრდის შემდეგ, ტრანსპორტირების ფასები ზომიერად შემცირდა. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ, ინფლაციაზე მოქმედი შესაძლო რისკებიც შედარებით შემცირებულია.

თვის ინფლაცია 0.01% (გნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 0.5% (გნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მარტში, თებერვალთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ღირებულება 0.01%-ით გაიზარდა. ყველაზე მეტად გაიზარდა ანტიბიოტიკები და შოკოლადის ფილა, რამაც მთლიანობაში თვის ინფლაცია 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) შეამცირა. ამის საპირისპიროდ, ვაშლის გაძვირებამ თვის ინფლაცია 0.1 პპ-ით გაზარდა.

წლიურ ქრილში აღსანიშნავია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების 3.4%-ით გაიზარდა, რამაც ინფლაცია 1.2 პპ-ით შეამცირა. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთის, პურისა და კარტოფილის ფასების კლება, რამაც მარტში ინფლაცია ჯამურად 1.2 პპ-ით შეამცირა. მეორე მხრივ, ძროხის ხორცის, საბანკო მომსახურებისა და ბენზინის გაძვირებამ ინფლაცია 1.3 პპ-ით გაზარდა.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, მცირედით მოიკლო და 2.3% შეადგინა. საბაზო ინფლაციის ზრდაზე, უმეტესწილად, საბანკო მომსახურების გაძვირებამ იმოქმედა, კლებაზე კი - ანტიბიოტიკების გაიზარდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მარტში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია, წინა თვესთან შედარებით, მცირედით (0.2 პპ-ით) გაიზარდა და 2.6% შეადგინა. შერეული წარმოების კაცეგორიის პროდუქტების ინფლაციის კლება კვლავ გრძელდება. გარკვეული სურსათისა და ელექტროენერჯის ცარიფის წლიურმა გაიზარდებამ შერეულად წარმოებული პროდუქტების 3.9%-იანი დეფლაცია გამოიწვია. იმპორტირებული პროდუქტების ფასები, თითქმის ერთწლიანი დეფლაციის შემდეგ, თებერვლის ტენდენციას მიჰყვება და მარტში წლიურად 1.6%-ით გაიზარდა. ამის მიზეზი, პირველ რიგში, საწვავის ფასების წლიური ზრდა და საბაზო ეფექტია.

ადგილობრივ ინფლაციაში დიდი წვლილი შედარებით მაღალ მომსახურების ინფლაციას (5.4%) აქვს. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 2.8 პპ-ია. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში მაღალი წვლილი ჰქონდა საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.5 პპ); გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მადების შედეგად გაზრდილი ბინის დაქირავების ღირებულების ეფექტი ინფლაციაში ევაპორირდა ამოიწურა და მისი წვლილი მომსახურების ინფლაციაში -0.03 პპ-ია.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	მარ24/თებ24		მარ24/მარ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.0%	0.0%	0.5%	0.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	0.0%	0.0%	-3.4%	-1.2%
სურსათი	30.4%	-0.1%	0.0%	-4.1%	-1.3%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.4%	0.0%	-8.9%	-0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.2%	0.0%	2.8%	0.2%
თევზი	0.4%	-0.5%	0.0%	1.3%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	-0.5%	0.0%	-3.9%	-0.3%
ზეთი და ცხიმი	2.5%	0.3%	0.0%	-19.4%	-0.6%
ხილი, ყურძენი	1.6%	6.6%	0.1%	25.7%	0.4%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	-2.9%	-0.1%	-15.3%	-0.6%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-3.2%	-0.1%	-0.9%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	1.5%	0.0%	-1.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.7%	0.0%	4.2%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.2%	0.0%	4.5%	0.3%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	-0.5%	0.0%	-5.0%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	-0.2%	0.0%	-2.1%	-0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	-0.3%	0.0%	-2.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-1.5%	-0.1%	1.2%	0.1%
ტრანსპორტი	12.0%	0.8%	0.1%	8.1%	0.9%
კავშირგაბმულობა	3.7%	0.0%	0.0%	-1.6%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.1%	0.0%	-3.0%	-0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.9%	0.0%	6.3%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	1.4%	0.1%	10.2%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	0.1%	0.0%	-1.0%	-0.7%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-2.2%	-0.2%	-3.2%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.1%	0.0%	-3.1%	-0.2%
მომსახურება	24.8%	0.4%	0.1%	5.3%	1.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


თებერვალში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 5.9 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 138.7 მლნ ლარით შემცირდა) და 49.6 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 13.6%-ით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მაცდების გავლენით. თებერვალში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 73.0 მლნ ლარით (0.3%-ით) გაიზარდა და 25.3 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ფიზიკური პირების დეპოზიტების მაცდებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 61.2 მლნ ლარით შემცირდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 127.6 მლნ ლარით შემცირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 6.7% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით შემცირდა და 8.4%-ის ნიშნულზეა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1%-მდე შემცირდა და 1.6% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით შემცირდა და 11.4% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 2.2%-ის ნიშნულზეა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 0.9% შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე დეპოზიტების დოლარიზაციამ 2024 წლის თებერვალში 49.8% შეადგინა. თებერვლის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პპ-ით შემცირდა და 64.5% შეადგინა. ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით 38.8%-მდე გაიზარდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია თებერვალში, წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით 60.9%-მდე შემცირდა.

დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 16.4%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება ეროვნული ვალუდით დაკრედიტების აჩქარებამ განაპირობა. კერძოდ, თებერვალში, ეროვნული ვალუდით დაკრედიტების ზრდის ტემპი (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 18.4%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 10.2 პპ-იანი წვლილი შეადგინა. ეროვნული ვალუდით დაკრედიტების აჩქარება სამომხმარებლო ციკლის სესხების ზრდას უკავშირდება, რომლის წვლილი დაკრედიტების ზრდაში 4.7 პპ-ია. უცხოური ვალუდით დაკრედიტება წლიურად 14%-ით, 23.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, 9.4 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.1 პპ-ზე შეადგინა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით შემცირდა და 13.4% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 15.4%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.6%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით 12.3%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით, 11.5%-მდე შემცირდა. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 8.8%-ის დონეზეა. უცხოური ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით 7.1%-მდე გაიზარდა.


თებერვალში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 44.3%-ს გაუფოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით და 63.4%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.4პპ-ით შემცირდა და 27.8%-ის დონეზეა. თებერვალში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 58.71 მლნ ლარით გაიზარდა და 571.8 მლნ ლარს გაუფოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 38.5% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამოყენებით)

ვადაგადაცილებული დაავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


2024 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 6.3%-ით გაიზარდა და 650.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდა იმპორტის მატებას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 4.4%-ით 1,115.3 მლნ აშშ დოლარამდე მოიმადა, ხოლო ექსპორტმა წლიურად 2.0%-ით შემცირდა და 464.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2024)




წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


იმპორტი - თებერვალში საქონლის იმპორტი წლიურად 4.4%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. სამომხმარებლო საქონლის იმპორტი ზომიერად გაიზარდა, ხოლო შუალედური სახის იმპორტმა კვლავ დაიკლო. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სხვა საფრენი აპარატების, საცდითო ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების გაყიდვების ზრდამ განაპირობა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის კლება უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტებისა და რკინის მადნების სხვადასხვა პროდუქტების იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლისის, რეზინის პნევმატური სალკებისა და სპირტიანი სასმელების იმპორტმა მოიმადა. სამომხმარებლო სახის საქონლის მატებაში ყველაზე მეტი წვლილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების ზრდამ შეიტანა, თუმცა ამავე ჯგუფში შემცირდა მსუბუქი ავტომობილების, სამკურნალო საშუალებების, საცელეფონო აპარატებისა და სიგარეტები-სიგარეტის ჯგუფების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში მნიშვნელოვან წილს იკავებს. მთლიანობაში, თებერვალში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 1.0%-ით მოიმადა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიტანა თურქეთმა, რაც შერეული საქონლის, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე სამკურნალო საშუალებების შემოტანის ზრდას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან მსუბუქი ავტომობილებისა და სიგარეტები-სიგარილების წლიურად დაიკლო. ჩინეთიდან იმპორტის მატება უმეტესად საცელეფონო აპარატების, საყინულეების, საცვიროთო ავტომობილებისა და გემის სხვადასხვა ამწეების, ბულგარეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე შერეული საქონლის, ხოლო რუსეთიდან სპირტიანი სასმელების, დაცხილი მარცვლეულისა და კაკაოს შემცველი მზაპროდუქტების იმპორტმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ყაჯარბიდან სხვა საფრენი აპარატების, ნიდერლანდებიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სამკურნალო საშუალებების, რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ჰონკონგიდან ცელე-რადიო აპარატურის ნაწილების, საფრანგეთიდან სასმელების წარმოებაში გამოსაყენებელი ნარეგების, პოლონეთიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების მნიშვნელოვანი მატება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდა აშშ - მსუბუქი ავტომობილების, სომხეთი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აზერბაიჯანი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შვეიცარია სამკურნალო საშუალებების, ბელგია და იაპონია მსუბუქი ავტომობილების შემცირებული შესყიდვების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

თებერვალში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი **მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობიერებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა**. აღსანიშნავია, რომ თებერვალში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის თებერვალთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (თებერვალი 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 132	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 107	ნავთობის აირები, 59	სამკურნალო საშუალებები, 42	
		საცელეფონო აპარატები, 25	საცვიროთო ავტომობილები, 15	გამომთვლელი მანქანები, 13
		სხვა საფრენი აპარატები, 22	10 კასზე მეტი გადამყვანი ავტომობილი, 11	შერეული საქონელი, 9

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (თებერვალი 2024)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 2.0%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის მატება მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური და საინვესტიციო საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა, ასევე ყურძნის ნაცურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და სამრეწველო დანიშნულების თამბაქოს ექსპორტმა კვლავ მოიმატა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (43.6 კპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიტანეს. გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მნიშვნელოვანი მატება. თებერვალში, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების ექსპორტი მალალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა გაიზარდა. ამასთანავე, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა კვლავ მოიმატა. საინვესტიციო საქონლიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საცელეფონო აპარატებისა და სამედიცინო ხელსაწყოების ექსპორტმა დაიკლო, ხოლო სხვა საფრენი აპარატების ექსპორტმა მოიმატა. თებერვალში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 0.7%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების მატებაში მათალი წვლილი შეიძლება ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის ზრდაში, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, რუსეთში ყურძნის ნაფურაღი ღვინოების, ასევე სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლების, ხოლო უკრაინაში ფეროშენადნობებისა და მინერალური წყლების ექსპორტი მცირედით გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების, ეკვიპაში ფეროშენადნობების, ასევე თევზის ქონები-ფრაქციების, ისრაელში ხილისა და ბოსტნეულის წვენების, იტალიაში ფეროშენადნობების გაყიდვების მატება. აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლოდროინდელი თვეების მსგავსად, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, სომხეთსა და ტაჯიკეთში მსუბუქი ავტომობილების, ალჟირსა და აშშ-ში ფეროშენადნობების, ლიეცუვაში გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ხოლო ბელგიაში ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 75% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


თებერვალში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (32%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მათალი იყო ყურძნის ნაფურაღი ღვინოების, ფეროშენადნობებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (3.9 პპ მთლიან ცვლილებაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 13.6%-ით გაიზარდა. წინა თვეების მსგავსად, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდის ცემში ამჯერადაც შემცირდა. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე სპირტიან სასმელებზე, სამრეწველო დანიშნულების თამბაქოსა და სამკურნალო საშუალებებზე სავაჭრო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (თებერვალი 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 151	ყურძნის ღვინოები, 30	ფეროშენადნობები, 23
	სპირტიანი სასმელები, 22	ქიმიური სასუქები, 13
	ძვირფასი ლითონების მადნები, 20	სამკურნალო საშუალებები, 11
		დაგაზიანებული წყლები, 9
		თევზის ცხიმები, 8

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (თებერვალი 2024)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - თებერვალში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 26.9%-ით დაიკლო და 272.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 5.1%-ით 29.0 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. თებერვალში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 67%-ით, 62 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. თუმცა, მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (35.3%-ით). ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები ზომიერად (9.7%-იანი ზრდა) გაიზარდა. გარდა ამისა, ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (24.5%-იანი მატება). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** თებერვალში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 47.0%-ით და 17.8%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **თებერვალში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (38.8%), რუსეთი (22.8%) და აშშ (15.1%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (თებერვალი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6752-დან 2.6558-მდე (0.7%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9215-დან 2.8675-მდე (1.8%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6606 და 2.8780 შეადგინა. თებერვალში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6818 იყო, მინიმალური კი - 2.6432.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური მნიშვნელობის გადახრა ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მაქსიმალურისა.


თებერვალში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ლარისა და დრამის გამყარება, გაუფასურებას განაგრძობს თურქული ლირა; ასევე გაუფასურდნენ რუბლი და ევრო, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (თებერვალი 2024; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. წლიურად, თებერვალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 1.7%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 14.4%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვის ცენდენციას, წინა თვესთან შედარებით, თებერვალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მცირედით - 0.5%-ით, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 1.9%-ით გამყარდა.

ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან თებერვალში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-ში, ევროზონასა და აზერბაიჯანში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ცენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(თებერვალი 2024)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 6¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მარკვენებლების მიხედვით თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით შემცირებულია. ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 189.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 93.0 მლნ აშშ დოლარით მეტია, წინა წლის თებერვალთან შედარებით კი - 7.9 მლნ აშშ დოლარით მეტი. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 47.3%-ით, ხოლო წლიურად 2.5%-ით გაიზარდა.

თებერვალში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (98.3%) და 2,617.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 108.7 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი (ხოლო თვიურად - 184.7 მლნ აშშ დოლარით). სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.0% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 77.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 85.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად კი - 82.0 მლნ აშშ დოლარით) და 1,349.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 23.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად კი - 106.3 მლნ აშშ დოლარით) და 1,269.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

თებერვალში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 5.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (ხოლო თვიურად - 19.9 მლნ აშშ დოლარით) და 45.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 20.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებულ ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 107.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა იმოქმედა. თუმცა, რეზერვების მოცულობის კლება ძირითადად მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის სესხის მომსახურებამ, განაპირობა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

თებერვალში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და თებერვლის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


თებერვალში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 295.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 283.0 მლნ ლარით გაიზარდა და 8,262.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 62.4%-ს კომერციული ბანკების, 24.0%-ს ეროვნული ბანკის, 10.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.8%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადავოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში სადებოზიციო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.56 პპ-ით, 8.26%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.6 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 8.35% და 8.28%-ს შეადგენდა. ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები მცირედით შემცირდა 0.1, 0.1 და 0.03 პპ-ით, და შესაბამისად 8.21%, 8.28% და 8.29% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 783.5 მლნ ლარით გაიზარდა, (წლიურად 4,509.0 მლნ ლარით) 14,134.2 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (82.8%), რომლის მოცულობაც თვიურად 681.4 მლნ ლარით (6.2%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 102.2 მლნ ლარით (31.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუდის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით შემცირდა და 8.96% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 3.36% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში ფულადი ბაზრის რესურსის 46.6% ერთ თვემდე ვალიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 53.1% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 113.8 მლნ ლარით (1.7%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 259.4 მლნ ლარით (3.7%-ით) შემცირდა.


საბანკო სისცემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 144.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თებერვლის განმავლობაში 77.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქცივები დაახლოებით 67.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. თებერვალში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 61.7 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,188.6 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 15.9 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 130.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 22.8 მლნ ლარით გაიზარდა. თებერვალში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, თებერვალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 152.8 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,193.5 მლნ ლარს გაუცოლდა.


ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გამო, თებერვალში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 441.8 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 471.4 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

